ოქმი:**ო02. 3726093001**

თარიღი:**03/04/2026**

ოქმი №5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2026 წელი, 2 აპრილი

ქ.ოზურგეთი

12:00-13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ნ. გობრონიძე, ნ. ურუშაძე, ლ. კილაძე, დ. ხურციძე, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ზ. სალუქვაძე, ზ. მორჩილაძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში, შ. რუსთაველის ქ.N39-ში მდებარე სპორტული მოედნის „მეგობრობა“-სთვის კოტე გოგატაძის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოსულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა კოლექტიური წერილი(3000-ხელმოწერა), რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცენტრალურ სტადიონს მიენიჭოს ცნობილი ოზურგეთელი ფეხბურთელისა და წლების მანძილე ამავე სტადიონის ყოფილი დირექტორის კოტე გოგატაძის სახელი. განაცხადა, რომ ამავე საკითხზე კომისიის წევრთა მონაწილეობით სპორტულ სტადიონზე გაიმართა საზოგადოების წარმომადგენლებთან და სტადიონის თანამშრომლებთან შეხვედრა, სადაც ერთობლივად იქნა მხარდაჭერილი წინადადება-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სპორტულ სტადიონს ეწოდოს „კოტე გოგატაძის“ სახელი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და კიდევ ერთხელ მხარი დაუჭირეს

წარმოდგენილ წინადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი- განაცხადა, რომ საკითხი ეხებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცებას, შემდეგ კონკრეტულად, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით გააცნო დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგის N1-საკითხზე მომზადდეს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაცია და გადაეგზავნოს შესაბამის სამთავრობო კომისიას რეაგირების მიზნით.

2. N2 საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე